ვლობისათვის“ პარტიიდან უკვე გარიცხული ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი გრიგოლ ჩაჩიბაია, რაისამტოს აღმასკომის თავმჯდომარე გუგუ გოგეჩია და საქალაქო სამტოს აღმასკომის თავმჯდომარე ვასო ზეგვაია (დაპატიმრა სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ, დაწყებით პერიოდში ძიება პროკურატურასთან ერთად წარმოებდა, შემდეგ „მ. ბარამიას საქმესთან“ გაერთიანდა). დაპატიმრეს აგრეთვე 20-მდე კაცი (2004 წელს გამოვიდა ვასო ზეგვაიას მეუღლის, ძველი კომპარტიული მუშაკის, 90 წლის ქალბატონის ლუდმილა ჭიჭინაძე-ზეგვაიას მოგონებათა საინტერესო წიგნი „ხიფათიანი გზა“, რომელიც მეგრ საყურადღებო ცნობას გვანცდის მაშინდელ მოვლენებზე).

ამ პერიოდისათვის არც ერთი დაპატიმრებული არ იძლეოდა ჩვენებს „მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის“ არსებობაზე, თუმცა ნიკოლოზ რუხაძე, მისი მოადგილე მირიან თავდომილი, გამომძიებლები გივი ქესანაშვილი, კუციავა, სტეპანოვი, მილილოვი და სხვები ტყავიდან ძვრებოდნენ, რათა, რაღაც არ უნდა დასჯილიყო, პატიმრებისთვის დანაშაულის აღიარება აეძულებინათ.

როგორც ჩანს, დაპატიმრების პირველმა ელდამ ისე დათრგუნა მისა ბარამია, რომ 16 დეკემბერს გამოძიებას ასეთი ჩვენება მისცა: „სადაღ აგწონ-დავწონე რა ზოგიერთი მეგრელი, რომლებსაც საპასუხისმგებლო პარტიული და სამჭოთა პოსტებში ეკავათ საქართველოში – ყოფილი იუსტიციის მინისტრის ა. ნ. რაფაგას, რომელიც თავის გარშემო უპირატესად მეგრელებს იკრებდა და წინსწევდა საპასუხისმგებლო პოსტებზე, ყოფილი რესპუბლიკის პროკურორის გ. ა. შონიას, რომელიც უკანონო გადაწყვეტილე-

ნის აღვიღებ არყოფნის დროს, ბიურო ჩაატარა და შეცვალა რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილება მელუას სამსახურიდან მოხსნის შესახებ, მხოლოდ საყვედურის გამოცხადება დაუტოვა.

კ. ჩარკვიანმა ხაზი გაუსვა, რომ მ. ბარამიას წალენჯიხური კავშირების შესახებ (აღრე იქ მუშაობდა) ლაპარაკი იყო არა ამ რაიონის, არამედ თბილისისა და სხვა რაიონების პარტიულ ორგანიზაციებში, თვით წალენჯიხაში კი განხილვამ მკრთალად ჩაიარა. ეს გასაგებიცაა (ხმა დარბაზიდან: წალენჯიხის რაიონის ხელმძღვანელები ახლოს იყვნენ ბარამიასთან!), წინა პლენუმზე წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი მიხეილ კვარაცხელია გამოვიდა აქ და ფაქტობრივად ვერაფერი თქვა. არადა, ცენტრალურ კომიტეტს აქვს მასალები, რომ წალენჯიხის რაიონის გუნდი სიმღერებს მღეროდა ბარამიაზე (გამოცოცხლება დარბაზში), წალენჯიხის საშუალო სკოლას ბარამიას სახელი აქვს მიკუთვნებული, რაიონში არის ბარამიას სახელობის კოლმეურნეობა, წალენჯიხის ერთ-ერთ ქუჩას ბარამიას სახელი ჰქვია (ცნობისთვის: ბატონმა მამანტი პაჭკორიამ, რომელიც პარტიის ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივანიდან 1948 წელს გადაიყვანეს ჩხოროწყუში პარტიის რაიკომის პირველ მდივნად, ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებოდ მომწერა, თუმცა, ბარამია წარმოშობით ჩხოროწყუდან იყო, ჩვენ მამანტი მისი სახელი არცერთი ობიექტისთვის არ გვიწოდებიათ).

მოგვიანებით აკაკი მგელაძემ უფრო დააკონკრეტა: ავტორი ბარამიაზე სიმღერისა, რომელსაც სისტემატურად ასრულებს კულტურის სახლის გუნდი, არის ფილიპე კვარაცხელია, რომელიც პარტიიდან გარიცხული და გასამართლებულია სოციალისტური საკუთრების დატაცებისთვის. რაიონის ხელმძღვანელობა სისტემატურად ესწრებოდა ამ კონცერტებს. რაიკომის პირველ მდივანს მიხეილ კვარაცხელიას აქვს მისა ბარამიას და თავისი 1,5/1 კვადრატული მეტრის ზომის პორტრეტები. კვარაცხელიას მსგავსი აღმანი არ შეიძლება იყოს რაიკომის პირველი მდივანი. უნდა განვიხილოთ მისი პარტიული საქმე. მ. კვარაცხელიამ შეიძლება ყოფილი ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივნის ჩაჩიბაიას მედი გაიზიაროს...

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი საკურორტო სამმართველოს ყოფილმა უფროსმა მერაბმა „აღმამფუთვებელი“ რამ განაცხადა: ბარამია თურმე არაერთგზის მოითხოვდა მისგან ღონისძიებათა მიღებას, რათა კურორტი ლეგარდ რესპუბლიკური მნიშვნელობისად ექცია, თუმცა, დამეგებული სახსრები მოქმედი დიდი კურორტების საჭირო ღონებზე არსებობისთვის კი არ არის საკმარისი. ბარამია მხარს უჭერდა ზუგდიდის ყოფილი ხელმძღვანელებს რაიონული ცენტრის მშენებლობისა და კეთილმოწყობის უკანონო და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში(?). ზუგდიდი გარეგნულად ბრწყინავდა, მაგრამ შინაგანად ლუპროდა.

(ბაბრძელება იმწება)

ბაბრძელება, დასაწყისი იხილეთ
„სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-63

შვეიცარიის ერთ-ერთ უდიდეს გაზეთ „ბერნერ ცაიუნგში“ („Berner Zeitung“ – „ბერნის გაზეთი“) გამოქვეყნებულია ვრცელი ინტერვიუ ქართველ კულტუროლოგთან – რუსუდან თაბუკაშვილთან, „საქართველო სწრაფად ვითარდება... ავტორიტარული რეჟიმის მიმართულებით“ (ესაუბრება ჟურნალისტი ბერპარდ ოტი).

„მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების პროცესი შეაჩერა, თბილისის მთავარ ქუჩაზე საწრფელსტო აქციები არ წყდება. თვითონ რუსუდან თაბუკაშვილი დემონსტრაციებში თითქმის არ მონაწილეობს, მაგრამ საგაზეთოდ მისი წინააღმდეგობა ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ წერილობითი ფორმით გამოიხატება. რუსუდან თაბუკაშვილი, მარჯვენა კულტურის ერთად, თანაგვრობა გერმანულ ენაზე დაწერილი პიესის სათაურით „ერთი განსაკუთრებული ქაჩა“, რომელიც ბერნის თეატრში 3 მაისიდან იდგა. ნაწარმოებში გაკეთებულია პარალელები საბჭოურ-სტალინური 1930-იანი წლების რეჟიმისა და საქართველოს დემონსტრაციული რევოლუციის წინაშე. მართლაც, პარტიის „ქართული ოცნების“ მთავრობა დღითიდღე აკაცნებს პენსიონატებს და რეპრესიებს. რადგან თვითონ კულტურაში თბილისში ცხოვრობს, იგი რეპრესიების მხრივ სარისკო მდგომარეობაში იმყოფება“, – ნათქვამია ინტერვიუს შესავალში.

გთავაზობთ ამონაწილს **BZ BERNER ZEITUNG** ვებლიკისგან.

Startseite | Kultur | Theater | «Georgien entwickelt sich rasant Richtung autoritäres Regime»

Interview über Repression und Zensur

«Georgien entwickelt sich rasant Richtung autoritäres Regime»

Mit dem kritischen Theaterstück «Eine besondere Strasse» riskiert die Georgierin Rusudani Tabukaschwili Repressalien. «Man muss die Dinge so benennen, wie sie sind», sagt die Autorin im Gespräch.

Bernhard Ott, Franziska Rothenbühler (Foto)
Publiziert: 30.04.2025, 20:25

3 | |

რუსუდან თაბუკაშვილის თეატრალური მარაზმი

– პიესაში „ერთი განსაკუთრებული ქაჩა“, რომლის თანავრთი თქვენ ბრძანდებით, საქართველოს 1930-იან წლებსა და თანამედროვე პერიოდს შორის გარკვეული პარალელურობა გავლენილი. რატომ ფიქრობთ, რომ ამ თემაზე შევსწავლილი საზოგადოება უნდა დაანტერესდეს?

– რთული გლობალური მოვლენების დროს დემოკრატიასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. პიესაში სწორედ ეს მდგომარეობაა ასახული საქართველოს ისტორიისა და დღევანდელი რეალობის ფონზე. ჩემს ქვეყანაში დემონსტრაციები თითქმის ყოველდღიურად ტარდება, რადგან მთავრობამ ევროკავშირთან მოლაპარაკებები გაყინა. შესაბამისად, არსებობს შეხების გარკვეული წერტილები შევიცარიული აუდიტორიისთვის.

– პიესის გმირები საუბრობენ რუსეთთან დამოკიდებულებაზე, რომელიც უკრაინას თავს დაესხა...

– საქართველოში ადამიანები მუდმივად საფრთხის პირობებში ცხოვრობენ. რუსეთს ოკუპირებული აქვს ქვეყნის ტერიტორიის 20% – აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონები. რუსეთის არმიის ბაზები დედაქალაქ თბილისიდან 30 კილომეტრში მდებარეობს. რუსი მესაზღვრეები ოკუპირებული ტერიტორიიდან აღმინისტრაციულ საზღვარს დროდადრო წინ წაწევენ. ჩვენთან ასეთ მოქმედებას „მცოცავ ოკუპაციას“ უწოდებენ. ბევრ ქართულ ოჯახს თავისი კუთვნილი ბაღებისა და სახნავი მიწებით სარგებლობა არ შეუძლია. ვინც შეეცდებოდა რუსების მიერ დადგენილი „საზღვრის“ დარღვევას, მას იჭერენ და ჯარიმებს ახდენენ.

– პიესაში საიდუმლო პოლიციის თანამშრომელი, რომელიც თავის ბავშვობის მეგობარს აპატიმრებს, ამბობს, რომ „სამხრეთ-აღმოსავლეთი ვარსკვლავი დაგალოება შეეცა-რულა“...

– დიახ, მაგრამ ეს ფრაზა არ ნიშნავს ადამიანის მოქმედების გამართლებას. გასაგებია, რომ ტერორისტული რეჟიმის სპეცსამსახურები ხშირად თვითონ აღმოჩნდებიან ხოლმე რეჟიმის მსხვერპლნი, რადგან ისინი ბრძანებებს ასრულებენ, მაგრამ ეს თავის მართლებების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს. ასე თუ ჩავთვლით, მაშინ რუსეთში უკრაინის წინააღმდეგ ომში დაშვებულ არაფერს არ იქნება, ვლადიმერ პუტინის გარდა. ყველა თავის მართლებას დაიწყებს. ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ თითოეულს აქვს არჩევანის გაკეთების უფლება და მან ეს უნდა გამოიყენოს.

– საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა რამდენიმე თვის წინათ შვეიცარიის გაზეთ Neue Zürcher Zeitung-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ დასავლეთი საქართველოს მიერ (რუსეთის წინააღმდეგ) მიღებული ზომების განხილვის ელემენტარული პრინციპი უკრაინაში შეჩერდა, მისმა პარტიამ კი ომი თავიდან აიცილა...

– ეს აგსურდია. საქართველოსთვის ასეთი მოთხოვნა არაფერს არ ნაუწყებია. განა რამდენ დღეს გააშლავდა საქართველო რუსეთთან ფრონტს? ერთი ან ორი დღე...

– 2008 წელს ხუთი დღე გააშლო... თუმცა პრეზიდენტის პოზიციამ, ალბათ, გარკვეულწილად გააძლიერებელია – საქართველოს არ სურს „უფ-



რუსი ძმის“ გადღივანება ევროკავშირ-თან და ნატოსთან ინტეგრაციით...

– მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველომ ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც რუსეთს აწყობს.

– სხვათა შორის, შვეიცარიამ ლა-ვირელმა მიიღო მსოფლიო ომის დროს (ნაცისტური გერმანიის წინაშე)...

– შვეიცარიამ იმ დროს სულ სხვა პო-ტენციალი იმყოფებოდა. შვეიცარიის ნე-იტრალიტეტი ყველა მიმართულებით მხარე-სათვის მისაღები იყო. საქართველო კი პრინციპულად განაგრძობდა მდგომარეობას, ევროპასა და ავსტროკავშირულ მემკვიდრე-ს შორის მოქცეული. საქართველომ ევ-როპა აირჩია, დემოკრატია და ადამი-ანის უფლებები.

– იქნება თუ არა პიესა საქართველოს თეატრებში დადგმული?

– ის თეატრები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ფინანსდებიან, ალბათ, სპექტაკლის დადგმაზე უარს იტყვიან. შესაძლოა მცირე თე-ატრებმა თანხმობა განაცხადონ, რაც ძალი-ან მინდა.

– რა რისკები და პასუხისმგებლობა ელო-დებოდათ თქვენთვის ხელმძღვანელებს, რომლებიც პიესის დადგმაზე დათანხმდებიან?

– ალბათ, საპრობლეოები ელოდებოდა. მესმის, რომ პირადად მეც შეიძლება პრობ-ლემა გამიჩნდეს. ამას წინათ ერთ-ერთი სა-ხელმწიფო თეატრის ხელმძღვანელი თანამ-დებობიდან გაათავისუფლეს მომიტინგეთა მხარდაჭერის გამო. გარდა ამისა, სამსახუ-რებიდან გაუშვეს ის სახელმწიფო მოსამსა-

ხურეები, რომლებმაც სოციალურ ქსელებში ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამო-კიდებულება გამოხატეს. საქართველო სწრა-ფად ვითარდება ავტორიტარული რეჟიმის მი-მართულებით.

– შეეცდებით თუ არა პიესის ქართული ვერსიის შერბილებას თვითცნობის გათ-ვალისწინებით?

– არა. ან ყველაფერი, ან არაფერი. ფაქ-ტებს და მოვლენებს თავისი სახელი უნდა უწოდოთ – ისეთი, როგორც არის ნამდვილად არიან.


– საქართველოს ხელმძღვანელი პო-ლიტიკოსებიდან ბევრი გერმანიაში სწავ-ლობდა. თქვენც მუნიციპალიტეტში სტაჟირი იყავით. როგორ მოხდა, რომ გერმანული გამოცდილებიდან განსხვავებული დასკვ-ნები გააკეთეთ და სხვადასხვა მხარეს აღ-მოჩნდით?

– ეგ კითხვა მეც ხშირად მიჩნდება ხოლ-მე. დარწმუნებული ვარ, რომ მმართველ პარ-ტიის გავლენიან პირებს სჯერათ, რასაც თვი-თონ ლაპარაკობენ. ვერ წარმოვიდგენია, რო-გორ შეუძლიათ ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანებს ყოველივე ამის ატანა.

– ევროპის სახელმწიფოებმა საქარ-თვლის ხელმძღვანელების წინააღმდეგ სან-ქციო დადგენილება. კიდევ რისი გაკეთება შე-უძლია ევროპას?

– ევროპამ უნდა გააცნობიეროს, რომ სა-ქართველოს მთავრობა, ქართველი ხალხი-საგან განსხვავებით, სხვა ადგილზე დგას. ევ-როპამ არ უნდა შეამციროს თავისი მხარდა-ჭერა ქართული ფონების (არასამთავრობო ორგანიზაციების) მიმართ. ამერიკული სააგენტოს – იუესაიდის“ დახურვამ საქ-მე იქამდე მიიყვანა, რომ ბევრი რეგიონული ორგანი-ზაცია უსახსროდ დარჩა და დახმარებას საჭიროებდა...

მოთხოვნა
სიმონ კილაძე.



„ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტი დააკავეს

მოსამართლემ სახელმწიფო ბრალდების შუამდგომლობა გა-იზიარა და ჯავედ ხუდამოვს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმ-რობა შეუფარდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ად-ვოკატმა უკვე გაასაჩივრა. დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ ინტერ-პოლით ძებნილი 41 წლის მამაკაცი უდანაშაულოა.

ვიდრე დამატებითი გარემოებები გაირკვევა, კონ-ტრტერორისტული ცენტრის ინფორმაციით, უკვე ცნო-ბილია, რომ ჯავედ ხუდამოვი ტერორისტული დაჯგუ-ფების ისლამური სახელმწიფოს რიგებში 2014 წლიდან ირიცხება, არის საზრძოლო მოქმედებების გამოცდილე-ბის მქონე და ასაფეთქებელი მოწყობილობების მალალი კვალიფიკაციის სპეციალისტი. „ისისი“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტერორისტული ორგანიზაციაა, რომლის სახელსაც არაერთი დანაშაული უკავშირდე-ბა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრ-ტერორისტული ცენტრის ინფორმაციით, სწორედ ამ დაჯ-გუფების წევრი იყო წითელი ცირკულარით ძებნილი და საქართველოში დაკავებული ჯავედ ხუდამოვი.

ქალაქ რუსთაში, მდებარეობდა ქუჩაზე მდებარე ბინაში ინ-ტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ჯავედ ხუდამო-ვი ცხოვრობდა. მეზობლები „კურიერთან“ საუბარში ყვებიან, რომ 41 წლის მამაკაცი ბინა ნაქირავები ჰქონდა. ის შვილებთან ერთად ჩაკეტილად ცხოვრობდა და კომუნიკაცია არა-ვისთან ჰქონდა.

41 წლის მამაკაცი სახელმწიფო უსაფრთხოე-ბის სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის თა-ნამშრომლებმა საცხოვრებელი სახლიდან დაახ-ლოებით 100 მეტრში აიყვანეს. გამოძიებით დად-გინდა, რომ ინტერპოლის ცირკულარით ძებნილი ხუდამოვი 11 წელია ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წევრია.

დაკავებულს ბრალად საქართველოს საზღვ-რის უკანონო კვეთა ედება. პროკურორის ინფორ-მაციით, ბრალდებული საქართველოში თურქეთი-დან, სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ჩამოვიდა.



ლიბერალურმა აღვირახსნილობამ კიდევ მეტი დემოგრაფიული პრობლემა მოგვიტანა, ვიდრე მოსალოდნელი იყო!

(მეამსხმე გეგმავი) გასული საუკუნის 60-იან წლებში იყო დემოგრაფიული ზეგნული საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ევროპულ სახელმწიფოებში და ამერიკაშიც! მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რასაც მაშინდელი მსოფლიოს მოსახლეობის 3 პროცენტი ემსხვერპლა, საიდანაც 20 მილიონი ადამიანი მხოლოდ საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან იყო, დაიწყო მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება, როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე ევროპის ქვეყნებში.

ჩვენ გვაქვს მავალითად შარლ დე გოლის ისტორია, რომელმაც ცნობილ ადამიანებს გააჩენინა შვილები, შემდეგ კი, დაჰყავდა ეს ადამიანები სოფელ-სოფელ, კარდაკარ და ეხვეწებოდა მოსახლეობას, გაეჩინათ შვილები ფრანგი ერის გადარჩენად! თუ საფრანგეთი და ასე მრავალრიცხოვანი ფრანგი ერი არ სებობს დღეს, ეს დე გოლის დამსახურებაა!

საბჭოთა კავშირში კი სტალინმა შეიმუშავა ისეთი ძლიერი დემოგრაფიული პროგრამა, რომლის მსგავსიც დღემდე მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია. მან ეს დაიწყო ომის შემდგომ სამ წელიწადში, რაც მისი გარდაცვალების შემდეგაც მუშაობდა. ამ პროგრამის ამუშავებამ გამოიწვია დემოგრაფიული ზეგნული საქართველოში. 1950-1960 წლებში ქვეყანაში დაიბადა 1 200 000 ახალშობილი. წელიწადში, დაახლოებით, 122 ათასი ახალშობილი იბადებოდა. დღეს კი საქართველოში იბადება დაახლოებით 40 ათასი ახალშობილი წელიწადში.

60-იან წლებში დაბადებული თაობა უკვე 5 წელია, შევიდა საშენსო ასაკში. დღეს-დღეობით, ყოველწლიურად, საქართველოში 10 ათასით იზრდება პენსიონერთა რაოდენობა და რადგან სიკვდილიანობის ყველაზე მეტი პროცენტი საპენსიო ასაკზე მოდის, შესაბამისად, გაიზარდა სიკვდილიანობის მაჩვენებელიც. არც ეს არის „ქართული ოცნების“, სააკაშვილის თუ შევარდნაძის ხელისუფლების ბრალი. ეს არის სამაშულო ომის შემდგომ დაბადებული უზარმაზარი თაობის შედეგი, რომელიც მივიღეთ უძლიერესი დემოგრაფიული პროგრამის განხორციელების შემდეგ. როდესაც ხალხმა ეს არ იცის, მარტივად, ჰერმეტიკურად!

დემოგრაფიული პოლიტიკა არის ურთულესი მიმართულება, რადგან ის თავის თავში მოიცავს ეკონომიკას, სოციალურ მეცნიერებას, ჯანდაცვას, ახალგაზრდულ პოლიტიკას, მიგრაციას, ეროვნულ თუ რეგიონალურ პოლიტიკას... თითქმის ყველაფერს! ამიტომ უნდა გავყოფიოთ დემოგრაფიული პოლიტიკა, პოლიტიკების პოლიტიკას! დემოგრაფია არის სიღრმისეული მეცნიერება და ჩვენ უნდა გვესმოდა, რაზე ვისაუბროთ, როგორ გავაქეთოთ ანალიზი და მით უმეტეს – ვინ უნდა ვაკრიტიკოთ!

– პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას ხაზგასმით ისაუბრა ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ოჯახების გაძლიერებაზე და იმ პირობების შექმნაზე, რასაც პოზიტიური ეფექტი ექნება დემოგრაფიული მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. თუმცა, მოსახლეობის დიდი ნაწილი არსებულ პრობლემას ისევ და ისევ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირებს და ბრალს სდებს არსებულ ხელისუფლებას!

– უმარავი კვლევა ჩატარებული მსოფლიოს მასშტაბით, თუ რა ინვესტ დემოგრაფიულ პრობლემებს ქვეყანაში! ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ამას ინვესტ სოციალურ



რი მდგომარეობა, ეკონომიკური ვითარება, მაგრამ აქვე აღმოჩნდებიან ხოლმე ჩიხბი და რატომ? – იმიტომ, რომ დღეს ყველა განვითარებულ სახელმწიფოს ეხება დემოგრაფიული პრობლემა, მაგრამ არც ერთ განვითარებულ და ჩამორჩენილ სახელმწიფოს ეს არ ეხება! განვითარებული სახელმწიფოების, ძირითადად, ევროპისა და მთლიანად დასავლეთის პრობლემაა დღეს მოსახლეობის რაოდენობის შემცირება.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომლის არ ვიცო როგორ მოგვარდებოდა, არის ლიბერალური იდეოლოგიის გავლენა მოგადრებაზე. დღეს ახალგაზრდები მრავალი წლით თავისუფალ ურთიერთობებში ყოფნას აჯობებენ და ოჯახის შექმნას არ ჩაბრუნებენ, ისე, როგორც ევროპაშია მიღებული. ადრე თუ ახლა მოგვლებისგან ფარულად აკეთებდნენ, მათ უკვე აღარც მოგვლები ეწინააღმდეგებიან. თუ მაინც გადაწყვიტავენ ოჯახის შექმნა, გვრ

ახალგაზრდას არ უნდა თავისუფლების შეზღუდვა და შვილებს არ აჩანს. შვილის ყოლის დაყვანა აქვთ გადადებული ძალიან დიდხანს. ანუ ქორწინების და შვილის გაჩენის ვადა გადაიდო რევრულუციულ ასაკში, იმ თაობაში, რომლებიც ისედაც განსხვავებული რაოდენობის გვყავს!

ზოგადად, ბუნებრივ მატებას გვაძლევს მე-3 და შემდგომი შვილი. 2 შვილი ნიშნავს მხოლოდ მშობლების ჩანაცვლებას. თუკი ჩაეხვდება ჩვენი ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებს, მესამე და შემდგომ ახალშობილებში კი არა, კლება გვაქვს პირველ-მეორე ახალშობილებში! როდესაც გვიან ასაკში გადაწყვეტ დედობას, ბუნებრივია, ერთ, ან მაქსიმუმ 2 შვილს აჩენ. ეს არის უდიდესი პრობლემა!

ეს ახალგაზრდები სრული ლიბერალიზმის პერიოდში გაიზარდნენ, მათთვის თავისუფლების ხარისხი მეტად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოჯახური ფასეულობები და ქვეყნის ინტერესები. დაკარგულია ურთიერთპატივისცემა, ნაკლებად ცდილობენ შეინარჩუნონ ოჯახი, სიყვარული... და გამოიჩინონ მიმტევებლობა ერთმანეთის მიმართ. ამიტომაც, ქორწინებათა რიცხვი დღეს თითქმის უტოლ-

საჭოთა კავშირში კი სტალინმა შეიმუშავა ისეთი ძლიერი დემოგრაფიული პროგრამა, რომლის მსგავსიც დღემდე მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია. მან ეს დაიწყო ომის შემდგომ სამ წელიწადში, რაც მისი გარდაცვალების შემდეგაც მუშაობდა. ამ პროგრამის ამუშავებამ გამოიწვია დემოგრაფიული ზეგნული საქართველოში. 1950-1960 წლებში ქვეყანაში დაიბადა 1200 000 ახალშობილი. წელიწადში, დაახლოებით, 122 ათასი ახალშობილი იბადებოდა. დღეს კი საქართველოში იბადება დაახლოებით 40 ათასი ახალშობილი წელიწადში.

დღეა განქორწინებათა რაოდენობას საქართველოში, რაც ასევე ქმნის ურთულეს პრობლემას.

თუ გვინდა, რომ დემოგრაფიული მატება გვქონდეს ქვეყანაში, ამის ერთ-ერთი პირობაა, ქორწინებათა რაოდენობა მინიმუმ 2,5-ჯერ აღემატებოდეს განქორწინებათა რიცხვს. ლიბერალიზმმა და ლიბერალურმა ფასეულობებმა კიდევ მეტი დემოგრაფიული პრობლემა მოგვითანა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ამიტომ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა იმ მიმართულებით, რასაც დღეს ჩვენი ხელისუფლება აკეთებს, წინ უნდა წამოვიწყოთ ეროვნული ფასეულობები. ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ ამაზე. ეროვნული ფასეულობების შენარჩუნება არ ნიშნავს თავისუფლების შეზღუდვას, უბრალოდ, შენს მსოფლმხედველობას, შეხედულებებს სვამ ყალიბში, – იქ სადაც ქვეყანას სჭირდება!

საბოლოო ჯამში, თანამედროვე მეცნიერები, თავიანთი კვლევებით მივიღწენ იმ დასკვნამდე, რომ ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემები მივინჯარვებთ მაშინ, როდესაც ქვეითდება იმ ქვეყნის ეროვნული, ტრადიციული ფასეულობები, რაც გლობალიზაციამ და ლიბერალიზმმა მოიტანა, შემდეგ მოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მიგრაცია და სხვა. ამიტომ როდესაც პრობლემას ვიდაცაში ეძებ, უპირველესად, ეს პრობლემა ვეძებთ საკუთარ თავში, საკუთარ მსოფლმხედველობაში და ვეცადოთ, შევინარჩუნოთ და ქართველი ახალშობილებით გადავარჩინოთ ეს ქვეყანა!

ნონა ქარაშაძე

ქორეუსში 2 ადამიანის სხეფარი იპოვეს

ახალციხეში საცხოვრებელ ქორეუსში ქალისა და კაცის სხეფარი იპოვეს.

გავრცელებული ინფორმაციით, კაცმა, საგარეოდ, ჯერ ქალს ესროლა, შემდეგ კი თავი მოიკლა. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განხრახ მკვლელობას გულისხმობს.

აპარიუს 22 წლის ახალგაზრდა ამსხვერპლა

სამგზაოში, ხოგის მონიშნავლობის დროს მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა მოსკოვში, რასაც მართა ადამიანის სიცოცხლე ამსხვერპლა, ხოლო კიდევ ერთი – დაზარადა.

არსებული ინფორმაციით, ერთმანეთს დისტრირეულობისა და სატვირთო ავტომანქანები შეეჯახა. შეჯახების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა დისტრირეულობის მანქანის მძღოლი, 22 წლის გიორგი ჟორჟოლიანი. მის მანქანაში მყოფი 10 წლის ძმა კი სხეულის დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაზარალებული ბავშვი სასწრაფო დახმარების ჯგუფმა ფოთის ჰოსპიტალში გადაიყვანა.

გარდაცვლილი ახალგაზრდა, გიორგი ჟორჟოლიანი, ქუთაისიდან იყო. მას მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი ღარჩა.

დააკავეს ყალბი ფულის გამსაღებლები

გორში ქალაქის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ რესტორანში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იყო შესული.

როგორც უწყების წარმომადგენელმა გიორგი უძილაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, ბრალდებულები ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე არიან დაკავებული და მიმდინარეობს გამოძიება. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, დაკავებულები რესტორნის სტუმრები იყვნენ. არსებული ინფორმაციით, ორივე მათგანი საქართველოს მოქალაქეა.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით უკრაინის 2 მოქალაქე დააკავეს.

2005 წელს დაბადებულ ს.ტ.-ს და 2005 წელს დაბადებულ ო.კ.-ს ბრალი ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, ასევე, გასაღების მომზადებასა და გასაღების მცდელობაში. დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულების პირადი, ავტომობილის და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 103 ჰეკტოგრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“ ამოიღეს.

უბრალოდ, ისევ ნახევარი სიპარტლა

ქართული მხარის სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს მისი როგორც მინარე, ისე უცხოელ დამცვეთა და პატრონთა საქმე.

დიახ, ნაცვლად იმისა, უფალს მადლობას წირავდნენ, თავსმოხვეული კომპიუტერული გამოკვლევის პოლიტიკურ ზედპირზე რომ ტივტივებდა, მათი ფაქტური ეპოქისგან განსხვავებით, სანატორიუმით ევროპის არ ახეხინებენ ქართული ოცნების გეგმის უამს, პირიქით, ისევ იბრძვიან და ახალი ბარბაროსული რეპრესიების მოსაწყობად ძალ-ღონეს არ იშურებენ.

ამ ფონზე საზოგადოებაში იმედის ნაპერწკალი დროებითი საპარლამენტო საგამოცემო კომისიის შექმნით გაკრთა – იქნებ დიდი დაგვიანებით, მაგრამ სამართალმა პური ხელისუფლების მე-9 საარჩევნო

ტრიუმფის შემდეგ მაინც ჯამოს და 26 ოქტომბრის დაპირების შესაბამისად, ყოველივე ეროვნული თუ დედა ეკლესიის უბოროტეს მტერთა საბუღალრო დესტრუქციული ძალა თავის გერეზიანად ერთხელ და სამუდამოდ ამოიშანთოს თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი სხეულიდან (20 სხდომაზე უკვე 65 დაზარალებულს მოუხმინეს დეპუტატებმა და სრულიად საქართველომ).

თითქმის სასაყვედურო არაფერი გვაქვს **თეა წულუკიანისა** და მთლიანად შესანიშნავი შვიდეულის მიმართ – თითოეული სხდომის პირდაპირი ტელერეპორტაჟით, უკვე მერამდენედ, თვალნათლივ გრწმუნდებით სამშობლოს კლასიკურ მოღალატეთა ვერაგობასა თუ მანიაკობაში გადაბრდილ უსაზღვრო ძალაუფლებით გაყვანის პროცესის მანკიერებაში, მაგრამ...



გიორგი ნემსაძე

სამწუხაროდ, ბოლომდე სათქმელი ჯერაც ვერ მოვისმინეთ, ნახევრად სიმართლე კი მხოლოდ გულის მოსაფხან ფუნქციას თუ ასრუ-

ლებს. მაგალითად რამდენიმე დღის წინათ კანონმდებელთა წინაშე მიწვეულ სამამულო ფეხბურთის თვალსაჩინო წარმომადგენელთა – ქვეყნის ნაკრების ყოფილი კაპიტანის **გიორგი ნემსაძისა** და ჩვენი ძვირფასი კოლეგის, უფას მდიანოფიცერ **მამუკა კვარაცხელიას** გამოკითხვა გამოდგება, 2007 წლის 13 მაისს (დიახ, ისტორიულ 13 მაისს) ქორთიარდ მარიოტში გამართული სფუ-ს სამარცხილო ყრილობის შემდეგ განვითარებულ სკანდალურ მოვლენებს რომ მიეძღვნა.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – რამდენიმე საათის განმავლობაში არავის უხსენებია სამოლოოდ აკრძალული ილეთებით გამარჯვებული ჯალათ ვარდოსანთა ძლევამოსილი ფრთის ლიდერ ფიურერთა კონკრეტული გვარები (**მერაბიშვილი, ადიშვილი, უგულავა, ლომია**), გაუმაძღარი თათები რომ

ვდოთ ფიფა-უეფადან გადმოორიქსულ მწვანე მილიონებზე და არაფრით დაუშვეს პენსიასავით მუქთი მსუყე ნიღბის დათმობა. ასევე, რატომღაც ყველამ დაივიწყა ფეხბურთის ფედერაციაში ვიცე-პრეზიდენტის სამტატო ერთეულად ჩასმული არასამთავრობო ორგანიზაციების ემისიარი **ქეთარაძე**, რომელიც პირნათლად ასრულებდა ფედერაციის „ნადირატელის“ მისიას.

და კიდევ: კვირა დღეს გათამაშებული ფარსის დამკვირვებელმა რუმინელმა მაღალჩინოსანმა **სანდუ** (მოლოდვის მოქმედ ლიბერალთა რუმორი პრეზიდენტი არ გეგონოთ) უეფაში შესაბამისი პატაკი იმ მარტივი მიზეზის გამო არ გადაგზავნა, რომ დასვენების დღე იყო, რამაც რევანშისტებს ხელი შეუწყო განაჩენის სისრულეში მოყვანაში.

საინტერესოა, უანგაროდ ან შემთხვევით მოხდა ეს?



ისტორიული პრესხლი

პანდაში დაწყებულ მხატვრული ცურვის მსოფლიოს თასზე მარია პლამიძე თავისუფალი სოლო პროგრამა შესრულა, 200,7612 ქულა დააგროვა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

იგი პირველი ქართველია, რომელიც აღნიშნული გათამაშების პრიზიორი გახდა.

ჯვაროსნები ტურნირზე საქართველოს სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით იმყოფებიან.

საქმე ქართული!

საქართველო რომ ყველა სეზონზე უნდა გამოირჩეოდეს წარმატებებით, უკანასკნელ წლებში სპორტის ზამთრის სახეობებში ჯვაროსანთა მოხმარებული მიღწევები მოწმობს, განსაკუთრებით – ფიგურულ სრიალში. **ლეგენდარული „მფრინავი ტორპედოს“ – ჰმზა ნაძაძის** სამშობლოში ასე რომ არ იყოს, ის უფრო უნდა გვიკვირდეს. ახლა კი უკანასკნელი მოვლენის შესახებ, შორეულ ახალ ზელანდიაში რომ მოხდა, სადაც უკვე ჩვენმა პოკეისტებმა გვასახელეს.

თქვენ უკვე ინფორმირებულნი ხართ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2 დღიზიონის „მ“ ჯგუფის სტარტზე **ალექსანდრე ვედერნიკოვისა** და **რევაზ ცომაიას** შევირდებმა ჯერ ისლანდია, ხოლო შემდეგ ფავორიტი მასპინძლები დაამამათეს – 4:0 და 5:0, რითაც სერიოზული განაცხადი გააკეთეს იერარქიაში დანაწარებაზე.

კარგად დაწყებული საქმე ბიჭებმა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს – ბელგარეთს 8:7 (დამატებით დროში), ჩინეთის ტაიპეის 3:1 და ტაილანდს 15:1(!) სძლიეს და გაიხად „ა“ ჯგუფში ითამაშებენ. ვულოცავთ!

უმნიშვნელოვანესი ტურნირის დღეებში, ტრადიციისამებრ,



ურაპატრიოტები ასისინდნენ და გესლის ნთხევა გუნდის წევრთა უმეტესობის რუსულ გვარებზე დაიწყეს. მათ გასაგონად ვიტყვი, რომ, მაგალითად, ზოგს დედა ჰყავს ქართველი, ზოგი ქუთაისელი (დიდი **ნიკოლოზ დერეფინის** მსგავსად) და ასე შემდეგ.

მოკლედ, დროა ყველა შეეშვას პატარა კაცობას და თანამემამულეებს ქართული საქმის კეთება აცალოს!



ნინა ადიგბარიძის საუკუნოვანი სამადლობელი

ამ ძმონფას ოჯახს უკვე ნახევარი საუკუნეა ვიცნობ და სულ მივირდა (რასაკვირველია, ნახევრად ხუმრობით), მის წევრებს რაში ჭირდებოდათ ექიმის დიპლომი, როცა სიტყვითაც მაღალმოდ ედებოდნენ მოყვასს.

არადა, რომ იტყვიან, მედიკოსთა დინასტიააო, სწორედაც რომ მათზე ზედგამოჭრილი.

დაიხ, სავესებით ლოგიკურია, საქართველოში ყმა-სახის ქირურგიის მესაძირკვლის **ალექსანდრე ედიშერაძის** ქალიშვილმა ნინამ თეთრი ხალათი რომ ჩაიცვა და ბედი აღიარებულ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს **თემურ გორდელაძეს** დაუკავშირა, მაპროფილეზელი უმაღლესი სასწავლებლის აუდიტორიაში დაწყებული მათი მარადიული სიყვარული კი ღირსეულ შთამომავლობაში გრძელდება, ამაყად რომ მიუყვებიან უახლოეს წინაპართა მიერ გაკვალულ სამკურნალო ბილიკს საფიცარი ვაჭების – **დიმიტრი** და **ალექსანდრე გორდელაძეების** სახით.

ვინ მოთვლის, რამდენი პაციენტი ემადლიერება ჰიპოკრატეს ფიქს ერთგულ ოფთალმოლოგ **ნინა ედიშერაძეს** თვალისჩინის შე-


ნარჩუნებისთვის, მისი საახლობლო კი დღესაც რუდუნებით შენატრის საზოგადოებაში სათნოებით, კდემაოსილებით, სიღარბაისლით, უსაზღვრო ადამიანური სითბოთი და პიროვნული ხიბლით გამორჩეული ქალბატონის სიკეთის ქმნის უნარსა და მისგან ტრადიციულად დაფრქვეულ მშობლიურ ამაგს.

როცა ფუძემდებრ მოდგამზე ესაუბრობთ, აუცილებლად უნდა მივაგოთ საკადრისი პატივი მათ მიერ ღვიძლი შეილივით მიღებულ ალექსანდრეს რჩეულს, ასევე დამსახურებული სამაგალითო კოლეგის **ელგუჯა ყიფიანის** ასულს **მანანა ყიფიანს**, 4 ვაჟკაცი რომ ალუზარდა სამშობლოს და უკვე გემიობასაც გაუსინჯა გემო.

სიცოცხლე რომ გრძელდება, სასიქადულო წინამორბედის მოსახელე **ნინო დიმიტრის** ასული **გორდელაძე** ადასტურებს, რომელსაც ასევე ჯანმრთელობის დაცვა გაუხდია მოწოდებად.

ამ დღეებში ქალბატონ ნინა ედიშერაძეს 100 წელი შეუსრულებოდა. გმადლობთ, მადლიანო მკურნალო!

ბია პლატონიშვილი



მილიარდერთა კლუბი

16 ძმუნფის 8 სახეობის 50 წარმომადგენელი, მათ შორის ერთადერთი მანდილოსანი(!) – ამერიკელი ჩოგბურთის ლეგენდა სიმონა პოლიტასი მოხვდა აშშ-ის პორტალ სპორტიკოს მიერ გამოვლენილ სპორტის ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებელ ვარსკვლავთა კომორტაში.

აღსანიშნავია, რომ მათგან 13 გზაში თამაშობს, ხოლო ორი მე-სამედი – 34 ამერიკელია, რჩეულებს კი უპირატესობა მთელი რიგი კრიტერიუმების გათვალისწინებით მიაკუთვნეს: ხელოვასი, ბონუსები, საპრიზო თანხა, სასპონსორო შე-

მოსავლები, ჰონორარები და ასე შემდეგ.

რაც შეეხება გამომუშავებულ საერთო დივიდენდებს, ტოპ-ხუთეული ასეთი გახლავთ: **მაიკლ ჯორდანი** (აშშ, კალათბურთი) – 4,15 მილიარდი დოლარი (ინფლაციის გათვალისწინებით), **ტაიგერ ვუდსი** (აშშ, გოლფი) – 2,79 მილიარდი, **კრიშტიანუ რონალდუ** (პორტუგალია, ფეხბურთი), – 2,23 მილიარდი, **ლევონ ტეიში** (აშშ, კალათბურთი), – 1,88 მილიარდი, **ლიონელ მესი** (არგენტინა, ფეხბურთი) – 1,85 მილიარდი.

ოსკაროსანთა გალერეა

მართალია, ოლიმპიური 2024 წლის სპორტული სეზონი 4 თვის წინათ გავაცილეთ, მაგრამ მისი შედეგები ჯერაც აქტუალურად რჩება და სხვადასხვა ვერსიით ოსკარების მფლობელთა გამოვლენის პროცესი დღემდე გრძელდება.

ამჯერად საკუთარი რჩეულნი მადრიდში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე ლაურიუს მსოფლიო სპორტის აკადემიამ დააჯილდოვა და უპირატესობა მართლაც ღირსეულთა შორის ღირსეულებს მიანიჭა:

ქალები – სიმონა ბაილსი (აშშ, სპორტული ტანვარჯიში). მძიმე ტრავმის მოშუშების შედეგად მან ფრანგულ ფორუმზე 3 ოქტო და 1 ვერცხლი მოიხვეჭა, ხოლო კარიერის განმავლობაში მოპოვებული უმაღლესი სინჯის მედელების რაოდენობით (9) გენიალურ რუს კოლეგას **ლარისა ლატინინას** დაენია.

კაცები – არმან ღუჰლანტისი (შვედეთი, მძლეოსნობა). ჯოკით ხტომაში მსოფლიოს მრავალგზის რეკორ-



დსმენმა სენის ნაპირებზე უძვირფასესი ხუთგოლიანი ტრიუმფი გამოჰქდა.

სიმატლის, სიმატლის და სიმატლიანობის ერთგული მეცნიერება



მრავალმხრივი მოღვაწეობით განვლო მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების გზა ოთარ გამყრელიძემ, რომლის ცხედარი უჩვეულო პატივით გააცილა არდადეგების გზაზე ქართული საზოგადოებრიობის ყველა ფენამ, ხელისუფლების უმაღლესი ხელმძღვანელობისა და მესვეურების მონაწილეობით. ეს იყო ნათელი გამოხატულება და დადასტურება იმისა, თუ რა ღირებულებებით სარგებლობდა და თავად ასაზრდოვდა სულიერად ოთარ გამყრელიძემ ნაღდ საქართველოს უფლებრივ სფეროში.

არადა, სრულიად განუზომელია ამ სფეროს მასშტაბი, რომელიც წარსულსაც მოიცავს, აწმყოს და მომავალს; ადამიანის დაბადებამდე, მერე მისი სიცოცხლისა და სიკვდილის შემდგომ პერიოდებს. მის შინაარსსა და მოცულობას ყველაზე უკეთ გამოხატავს ქართველ სამართალმცოდნეთა და სამართალმსახურთა სამრძოლო მონაწილეობა: „სამართლე, სამართალი და სამართლიანობა“, რომელიც ტრადიციული ფილოსოფიური აზროვნების სწორუპოვარი ნიმუშია და ძვირად ეძებნება მაღალი საერთაშორისო დარგობრივ მრავალფეროვნებაში. ღირსეული მოქალაქეობრივი ცხოვრების ამ სამ ქვაკუთხს ედგა შეუპოვარ მეცნიერებმა, არაჩვეულებრივი ღირსებებით შემკული და შეიარაღებული სამართალმცოდნე და პრაქტიკოსი იურისტი ოთარ გამყრელიძე.

* * *

ღირსებათა შორის მთავარი, ყველა სხვა თვისების განმსაზღვრელი და გამაერთიანებელი გახლდათ ის, რომ იყო კრისტალურად უმნიშვნელო პიროვნება. თანაც მრავალი უსამართლობის მსხვერპლი და არაერთგვაროვანი ჭირგადახანდა. ეს გარემოება, როგორც მატერიალურ, ისე სულიერ განზომილებებში სრულიად შეუვალს ხდოდა მის პიროვნულ ავტორიტეტს. იმდენად მაღალი იყო იმავდროულად ეს ავტორიტეტი, რომ ზოგჯერ სრულიად უღირსნიც კი უტეხად მიეტმანებოდნენ ხოლმე, რათა თავადაც დაემკვიდრებინათ წესიერი კაცის სახელი ოთარ გამყრელიძის ხშირად მოხსენიებით.

* * *

ოთარ გამყრელიძემ იყო ევროპული ყაიდის, უპირატესად – ტრადიციული გერმანული წესით მოაზროვნე იურისტი, რომელმაც თინათინ წერეთლის შემდეგ, ყველაზე მეტი როლი შეასრულა სისხლის სამართლის ქართული მეცნიერების გადამარგებაში თავისი დროის ვიწრო ლიანდაგიდან რკინიგზის ფართო ლიანდაგზე, რითაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ჩვენი დარგის ახალგაზრდობას, ამით, ფაქტობრივად, შეუქცევადი გახდა ტრანსფორმაციის მთელი იდეოლოგიური პროცესი. შესაბამისი ცვლილებებს დაედო სათავე სამართლის სწავლებასა და სასამართლო საქმიანობაში. გავისხნო, რომ ოთარ გამყრელიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მეცნიერული მრჩეველი გახლდათ მრავალი წლის განმავლობაში ზოლო ხანებამდე. მან შეგვიჩინა საკანონმდებლო საქმიანობასა და ადვოკატურასაც. შესაბამისად, საესტეზო დამსახურებულად დააჯილდოვეს ის დიდი ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენით.

* * *

აუნაზღაურებელი ოთარ გამყრელიძის გარდაცვალებამ აღარ გვეყოლება არაჩვეულებრივი ცოცხალი მაგალითი, რომელსაც ის წარმოადგენდა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მის საპროფესორო საქმიანობაში და საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ აქტივობაში. ზოგჯერ დაუჯერებელიც კი ჩანდა ამ მშვიდი, წყნარი პიროვნების შეურიგებელი პათოსი და შეუწყნარებლობა კომფორტ-მიზმთან.

ოთარ გამყრელიძის ცხოვრებაში იყო პერიოდები, როდესაც ლამის არანაირი საშუალება არ ღირსებოდა ღმერთის, სამშობლოს და ადამიანური მომავლის მტკიცე რწმენის გარდა. სწორედ ამ რწმენით, შრომითა და მრძოლით მოიტანა სული 93 წლის ასაკამდე. ამ განწყობით ზრდიდა სამ კეთილ, წარმატებულ შვილს და საყვარელ შვილიშვილს. ეს შემართება გადამდგომი იყო ყველა მისი ახლომოსახლისათვის, მათ შორის ჩვენთვის – უახლოესი თანაკურსელი მეგობრებისათვის.

რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო ძვირფასი მემკვიდრეობა?

მინდია უბრალოდ, პეტრე ჩხეიძე, ირა ბააზოვა, თამაზ ტუღუშვი, ნატა აგოკაძე.

უკვდავი სსოვნა ნათელი სულისა

ოთარ გამყრელიძე

ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის დიდად სამწუხაროა ამქვეყნიური ცხოვრებიდან საზოგადოების ამა თუ იმ ღირსეული წარმომადგენლის წასვლა. მაგრამ განუზომელია ასეთი დანაკარგით გამოწვეული მწუხარება მაშინ, როდესაც განსვენებული იყო შენი გამზრდელი მასწავლებელი. ჩვენითვის, მისი მონაწილეობისათვის, ბატონი ოთარ გამყრელიძე წარმომადგენდა მშობლის ტოლფას ადამიანს, რადგან ის არა მხოლოდ პროფესიულად გვზრდიდა და გვაკვლიანებდა, არამედ პიროვნებამდაც გვაყალიბებდა. ის ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მონაწილეობის მიმართ ურყევი ერთგულებითა და ამსოლუტური უანგარობით, ისევე როგორც თავისი დიდი მასწავლებლების მიმართ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას არ სჩვეოდა მენტორული ჭკუისდამრიგებლობა. ის სხვა ადამიანებზე, უპირველესად კი თავის მონაწილეებზე, გავლენას ახდენდა თავისი ცხოვრების წესით, სავსებითად, მოვლენებისადმი და ადამიანებისადმი თავისი შინაგანი დამოკიდებულებით, პირუთვნელობითა და მიუკერძოებლობით. იგი გამორჩეული იყო ადამიანებისადმი კეთილმოსურნეობითა და გულისხმიერებით, თუმცა შეეძლო ყოფილიყო მკაცრი და შეუვალი, როდესაც ეს საჭირო და აუცილებელი იყო, მაგრამ არა პირადი სარგებლისათვის, არამედ საზოგადო საქმის სასიკეთოდ. თუმცა ასეთ მომენტებშიც ის ყოველთვის იყო სამართლიანი და ობიექტური.

ბატონი ოთარი ყველა ზემოხსენებულ სიკეთესთან ერთად, მამაც ადამიანს იყო, რომელსაც შეეძლო დიდი შეუპოვრობით შეგრძოლებოდა ნებისმიერ უკეთურობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადაწყდებოდა ხოლმე ადამიანის უსამართლო ჩაგვრასა თუ ვინმეს მიერ, მათ შორის ხელისუფალთა მხრიდან, საზოგადოებრივი ინტერესების უხეშ უგულვებლყოფას. იყო დრო, როდესაც ოთარ გამყრელიძე დიდი შეუპოვრობით იცავდა თავის მასწავლებლებს უსამართლო დევნისგან და დადგა ისეთი დროც, როდესაც ის უკვე ისეთივე შეუპოვრობით თავის მონაწილეებს იცავდა უსამართლობისგან.

პროფესორმა ოთარ გამყრელიძემ დიდი ღვაწლი გასწია თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის განვითარებისათვის, ეს მისია მან თავისი მასწავლებლებისგან გადაიბარა და ღირსეულადაც ატარა თავისი სიცოცხლის ბოლომდე. მისი მეცნიერული შემოქმედება თავისი შედეგებით, რომელიც დაზღვეული იყო ყოველგვარი პოლიტიკური, თუ სხვა მსგავსი კონიუქტურისგან, თვალსაჩინო მაგალითია დიდი და ღრმა პროფესიონალიზმისა, რომლის ნაშრომებზე უკვე ახალგაზრდა იურისტთა მრავალი თაობა გაიზარდა და კვლავაც მრავალი გაიზრდება, ან უკვე მის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე. ის მრავალი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის განყოფილებას სახელმწიფოსა და სამართლის მრავალპროფილიან ინსტიტუტში, რომელიც მის ხელში მეცნიერთა ნამდვილ სამჭედლოდ იქცა, სადაც მისი ხელმძღვანელობით არაერთმა სპეციალისტმა წარმატებით დაიწყო სადოქტორო დისერტაცია. ამაჟამად მისი აღზრდილი დოქტორები და პროფესორები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მოღვაწეობენ, ქმნიან სამეცნიერო ნაშრომებს, რითაც აგრძელებენ რა ბატონ ოთარის მიერ მათთვის გადაბარებულ საქმეს, ისინი ყოველთვის იამაყებიან თავისი ღირსეული მასწავლებლით და საესტეზო სამართლიანად.

ოთარ გამყრელიძეს უზომოდ უყვარდა სამშობლო, რომლის პატრიოტული სულისკვეთება გამოიხატებოდა არა საღვთაობებში, რაც, სამწუხაროდ, ხშირად გვჩვენია ქართველებს, არამედ რეალურად გაკეთებულ საქმეებში. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ოთარ გამყრელიძის პუბლიცისტური ნაშრომები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაში იმეჭდებოდა სხვადასხვა გამოცემებში. ამ ნაშრომებში იკვეთება მათი ავტორის მიერ ფართო მსოფლმხედველობრივი დიპლომონის ფლობა. მათში წამოწეული იყო მრავალი საზოგადო, თუ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემა, სადაც მის მიერ გამოთქმული არაერთი საინტერესო და ფრიალ საყურადღებო მოსაზრება სხენებული პრობლემის დაძლევის გზათა თაობაზე. ამავე ნაშრომებში ავტორის მიერ მხილებულია ის მანკიერებანი, რომლებიც სუფევდა როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე სახელოსუფლო წრეების საქმიანობაში. ასეთი უკომპრომისო პოზიცია, ცხადია, რომ მას განუზომებლად არა ია—ვარდებით მოეწონა, არამედ ეკლიანი გზით სიარულს, მაგრამ ამის გამო ბატონ ოთარს ცხოვრებაში უკან არასდროს დაუხვეია.

მიუხედავად საზოგადოების წინაშე დიდი დამსახურებისა, ოთარ გამყრელიძე სამაგალითო იყო თავისი თავმდაბლობითა და უბრალოებით, რომელსაც არასდროს უცდა რთვორამე წინა პლანზე წამოეწია თავისი პიროვნება და ხაზი გაესვა თავისი უპირატესობისათვის, უჩუბრად და ერთგულად ემსახურებოდა ისეთი ღირებულებების დამკვიდრების საქმეს, როგორიცაა მორალი, სამშობლო, ადამიანური ღირსება და განათლება. ამიტომ სრულიად ლოგიკური და ბუნებრივია, რომ ოთარ გამყრელიძემ შექმნა ქართულ-ტრადიციულ ღირებულებებზე დაფუძნებული ოჯახი, სადაც გაიზარდნენ შესანიშნავი შვილები. სამწუხაროდ, მისი მეუღლე, ღირსეული ქალბატონი, დოღო ნანობაშვილი, მეუღლეზე უფრო ადრე წავიდა ცათა სასუფეველში, მაგრამ ამ მძიმე დარტყმამ ვერ გატეხა ბატონი ოთარი, ღირსეულად გაუმკლავდა დიდ სულიერ ტკივილს. თუმცა მისთვის უეჭველად დიდი ნუგეში იყო ის, რომ იგი მოეწონა თავისი შვილიშვილის, პატარა ანდრიას ხილვას, რომელიც გააგრძელებს სახელოვანი პაპის ღირსებით სავსე გზას.

უკვე ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც პროფესორი ოთარ გამყრელიძე წავიდა ამ ცხოვრებიდან, თუმცა წავიდა ფიზიკურად, მაგრამ ის დიდი სულიერი და ზნეობრივი ღირებულებანი, რაც მან დაგვიტოვა, არა მხოლოდ მის მონაწილეებს, არამედ ასევე მეგობრებს, ნათესავებსა და საერთოდ ყველა იმ ადამიანს, ვისაც კი ოდესმე ურთიერთობა ჰქონია ბატონ ოთართან, მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე შეგვეწევა და გაგვახსენებდეს თანამედროვეობის დიდ სირთულეებთან და პრობლემებთან უშეღავათო ჭიდილში.

ნუგეშად გვრჩება დიდი მაღლიერებით განმსჭვალული, უკვდავი ხსოვნა ღირსებითა და პატიოსნებით სავსე, ღვანდობილი ადამიანისა, რომლის გავლენით კვალი არასდროს წაიშლება და ყოველთვის შეგვახსენებს ჩვენს მოვალეობასა და ჭეშმარიტ დანიშნულებას ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

ნიწო გვინებამაძე,

პროფესორი.

დავით სულაძევილიძე,

პროფესორი.



ქუთაისქალაქობა 2025


წელს „ქუთაისქალაქობის“ მთავარი ღონისძიებები თეთრი ხიდის მიმდებარე, მუზეუმის მოედანზე გაიმართა.

„ვერიკოს სკვერში“ მოეწყო: იმერეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელნაკეთი ნივთების და ყვავილების გამოფენა-გაყიდვა; ფოტოგრაფიის, ქუთაისის სალონური ცხოვრების ამსახველი სცენები, სპორტული და სამაგვამლო-გასართობი აქტივობები, „დ. მხეიძის სახ. ფოტო-კინომატიანის მუზეუმის“ გამოფენა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ნივთების გამოფენა, საჭადრაკო ტურნირი.

მდინარე რიონზე ჯომარდობის მოყვარულთა საჩვენებელი დაშვება განხორციელდა. ქუთაისის ნ. შერვაშიძის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში გამო-

ფენა „ქუთაისი თვითმმართველი ქალაქი 150“ გაიხსნა.

დღის განმავლობაში გაიმართა ქუთაისის იოსებ გუგუშვილის სახელობის კამერული გუნდის, ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ-სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების სასულიერო ორკესტრის, მოსწავლე-ახალგაზრდობის კონცერტი. საპატიო ქუთაისელების დაჯილდოების ცერემონიას ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი მასპინძლობდა. აქვე გაიმართა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტი. „ქუთაისქალაქობა 2025“-ს აღნიშვნა გალა-კონცერტით დასრულდა, სადაც თბილისის მიგ-მენდმა დაუკრა, - ნათქვამია ინფორმაციაში.



ვანო სარაჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი

სიღნაღში ვანო სარაჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი დაფუძნდა. შესაბამისი მემორანდუმი სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიასა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის შორის გაფორმდა. ინფორმაციას სიღნაღის მუნიციპალიტეტი ავრცელებს.

დოკუმენტს ხელი ცნობილი ქართველი მუსიკოსის ვანო სარაჯიშვილის დაბადებიდან 146 წლისთავთან დაკავშირებულ საღამოზე მოწვევდა. ღონისძიებას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი გიორგი ვაჩნაძე და საკრებულოს თავმჯდომარე დავით ჯანიკაშვილი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი მალხაზ ბეგიშვილი ესწრებოდნენ.

სიყვარულის ქალაქში ოპერის მომღერლებისა და ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა, ასევე ვანო სარაჯიშვილის შესახებ გადართული დოკუმენტური ფილმის ჩვენება შედგა. ვანო სარაჯიშვილის დაბადების 146 წლისთავთან დაკავშირებით სიღნაღში მთელი დღის განმავლობაში არაერთი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება გაიმართა.



წმინდისა დიდებულისა, დიდმოწამისა, ქლავაშვილისა და სასწაულ-მოქმედისა გიორგისა

6 მაისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია გიორგოსს აღესასწავლოვს. წმიდა დიდმოწამე გიორგი საქართველოს განსაკუთრებული წმინდანია.



...ცნობილია, რომ წმინდა გიორგი ხილულად იბრძოდა ქართველთა ლაშქარში. საქართველოში ეკლესიების უმრავლესობა წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. ქართველებმა წელიწადის ერთ-ერთ თვეს გიორგობისთვის უწოდეს!

...დიოკლეტიანემ ბრძანა გიორგისა და დედოფალ ალექსანდრას სიკვდილით დასჯა, რაც მალევე აღასრულეს. ორივე ქალაქგარეთ წაიყვანეს და როდესაც დასჯის ადგილზე მიყვანეს, დედოფალმა დასჯამდე სული განუტევა, ხოლო გიორგის თავი მოჰკვეთეს. ამიტომაცაა, რომ წმინდა დიდმოწამე გიორგის და დედოფალ ალექსანდრას სხენება ერთ დღესაა დაწესებული.

გიული ლიპარტია

პოეტი ენვარ ნიჟარაძე გარდაიცვალა

78 წლის ასაკში გარდაიცვალა პოეტი ენვარ ნიჟარაძე.

პოეტი, დრამატურგი, ლიტერატურათმცოდნე ენვარ ნიჟარაძე დაიბადა 1946 წლის 2 დეკემბერს, ლენტეხში. 1964 წელს დაამთავრა ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა, ოქროს მედლით. 1977 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ნიითელი დიპლომით.

1982-1988 წლებში მუშაობდა ჟურნალ „დილის“ მთავარ რედაქტორად, 1988-1991 წლებში კი - მწერალთა კავშირის მდივნად.


1991 წელს დაინიშნა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ.

1995 წელს ოჯახთან ერთად წავიდა ემიგრაციაში, სადაც იმყოფებოდა 19 წელი.

2014 წლის სექტემბერში დაბრუნდა სამშობლოში.

გამოცემული აქვს უამრავი პოეტური კრებული.

მას ეკუთვნის ცნობილი ლექსი „რა სიმშვიდეა, ქალბატონო“, რომელიც კომპოზიტორმა ნუგზარ ჩხაიძემ აამღერა.



საქართველოს წმინდანები

გამოცემელი და მთავარი რედაქტორი
სვანტაჰ ჟოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაძიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
ალექო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ჟოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტი-კორექტორები:
ნაირა კვეკელია, მაია იორაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი, აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგზავნილ, ან უხსოვრი პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იზექდება სტამბა „**ქოლოში**“
ე. ბაღდავაძის №3

კოდორი ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) C-323



რეკლამისთვის დარეკეთ:

577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნაგისიმიო თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 7 მაისს